

რომან იაკობსონი და კლოდ ლევი-სტროსი

### შარლ ბოდლერის „კატები“

მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება, რომ ანთროპოლოგიური ჟურნალი აქვეყნებს გამოკვლევას XIX საუკუნის ფრანგული ლექსის შესახებ. მაგრამ ამის მიზეზი მარტივია: ლინგვისტმა და ეთნოლოგმა საჭიროდ მიიჩნიეს თავიანთ ძალისხმევათა გაერთიანება და იმის გარკვევა, თუ როგორაა აგებული ბოდლერის სონეტი, რადგან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თითოეული თავის სფეროში, დამატებით პრობლემებს წააწყდნენ. პოეტურ ნაწარმოებში ლინგვისტი ამჩნევს სტრუქტურებს, რომლებიც საოცრად ჰგავს ეთნოლოგის მიერ მითების ანალიზისას გამოვლენილ სტრუქტურებს. თავის მხრივ, ეთნოლოგი აუცილებლად აღიარებს, რომ მითები – ესაა არამხოლოდ გარკვეული კონცეპტუალური სტრუქტურები, არამედ, ასევე, ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც მსმენლებს (ისევე, როგორც თვით ეთნოლოგებს, რომლებიც ჩაწერილ მითებს ეცნობიან) ღრმა ესთეტიკურ განცდებს აღუძრავს. იქნებ, ეს ორი კი არა, ერთი და იგივე პრობლემაა?

ამ შესავალი შენიშვნის ავტორი ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირებდა მითსა და, მეორე მხრივ, პოეტურ ნაწარმოებს („Anthropologie structurale“, p.232); ამასთან, იმათ, ვინც ამის გამო საყვედური გამოთქვეს, არ გაუთვალისწინებიათ, რომ თვით კონტრასტის ცნება გულისხმობს ორივე ურთიერთსაპირისპირო ფორმის, როგორც ურთიერთშემავსებელი ფორმების გააზრებას, რომლებიც ერთი და იმავე კატეგორიას მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, მითისა და პოეტური ნაწარმოების დაახლოება არ გულისხმობს, რომ შეუძლებელია მათი ურთიერთგამიჯვნა, რასაც ადრე ხაზგასმით აღვნიშნავდით. სახელდობრ, იზოლირებულად განხილული ნებისმიერი პოეტური ნაწარმოები უკვე შეიცავს ვერტიკალურ ღერძზე განლაგებულ თავისსავე ვარიანტებს, ეს ღერძი კი შედგება სხვადასხვა – ფონოლოგიური, ფონეტიკური, სინტაქსური, პროსოდიული, სემანტიკური და ა.შ. – სუპერპოზიციური დონეებისგან. რაც შეეხება მითს, ყოველ ზემოთხევევაში, მის ღვრულ ვარიანტს, ის შეიძლება შესწავლილ იქნას მხოლოდ ერთ – სემანტიკურ – დონეზე, რადგან მისი (სტრუქტურული ანალიზისთვის აუცილებელი) ვარიანტების სისტემა

იქმნება ამ მითის ვერსიათა სიმრავლით, ესე იგი, მითოლოგიური კორპუსის ჰორიზონტალური განასერით, რომელიც მხოლოდ სემანტიკურ დონეზე იჩენს თავს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი გამიჯვნა აუცილებელია, პირველ ყოვლისა, პრაქტიკული მიზნებისთვის, ესე იგი, იმისთვის, რომ მითების სტრუქტურული ანალიზი განვითარდეს თვით ამგვარი ანალიზისთვის საჭირო ლინგვისტური ბაზისის არარსებობის შემთხვევაშიც კი. მხოლოდ ორივე მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, თუნდაც ეს უკავშირდებოდეს კვლევის სფეროს მკვეთრ ცვლილებას, შეიძლება გადაწყდეს ის საკითხი, რომელიც დასაწყისშივე ჩამოვაყალიბეთ; გარემოებათა მიხედვით, შეიძლება შევარჩიოთ ან ერთი, ან მეორე მეთოდი, ეს კი ნიშნავს, რომ საბოლოო ანგარიშში, ისინი ურთიერთშენაცვლებადია, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ყოველთვის არ ძალუძთ ერთიმეორის შევსება.

კ. ლ.-ს.

1. Les amoureux fervents et les savants austères
2. Aiment également dans leur mûre saison,
3. Les chats puissants et doux, orgueil de la maison,
4. Qui comme eux sont frileux et comme eux sédentaires.
5. Amis de la science et de la volupté,
6. Ils cherchent le silence et l'horreur des ténèbres;
7. L'Érèbe les eût pris pour ses coursiers funèbres,
8. S'ils pouvaient au servage incliner leur fierté.
9. Ils prennent en songeant les nobles attitudes
10. Des grands sphinx allongés au fond des solitudes,
11. Qui semblent s'endormir dans un rêve sans fin;
12. Leurs reins féconds sont pleins d'étincelles magiques,
13. Et des parcelles d'or, ainsi qu'un sable fin,
14. Étoilent vaguement leurs prunelles mystiques.

ვნებიან მიჯნურებსაც და მკაცრ სწავლულებსაც,  
 სიმწიფის ასაკში შესულთ, უყვართ  
 სახლის სიამაყე – მძლავრი და ალერსიანი კატები,  
 რომლებიც მათსავით მცივანები არიან და მათსავით შინ ჯდომა უყვართ.

ისინი – მეცნიერებისა და ავხორცობის მეგობარნი –  
 მიილტვიან სიჩუმისა და წყვედიადის შიშისკენ;

ერებოსი კატებს სამგლოვიარო ცხენებად გამოიყენებდა,  
მათ თავიანთი სიამაყის ალაგმვა რომ შეეძლოთ მონობის წინაშე.

ჩაფიქრებული კატების მოხდენილი პოზები  
მოგაგონებთ მარტობათა სიღრმეში განრთხმულ უზარმაზარ სვინქსებს,  
რომლებსაც თითქოს სძინავთ და უსასრულო სიზმარს ხედავენ;

კატების ნაყოფიერი წიაღები სავსეა ჯადოსნური ნაპერწკლებით,  
და ოქროს ნაწილაკები, ქვიშის უწვრილესი მარცვლების მსგავსად,  
ვარსკვლავებივით ბუნდოვნად ციმციმებს მათი იდუმალი თვალების  
გულებში.

თუკი დაუუჯერებთ შანფლერის ფელეტონს „Le chat trotte“ („Le Corsaire“, novembre 14, 1847), რომელშიც ეს სონეტი პირველად გამოქვეყნდა, ის უნდა დაწერილიყო 1840 წლის მარტში, და, ზოგიერთი ინტერპრეტატორის შეხედულების საპირისპიროდ, „Le Corsaire“-ში გამოქვეყნებული ადრეული ტექსტი და „Les Fleurs du mal“-ში შეტანილი ამავე სონეტის ტექსტი (1857) სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს.

რითმების ორგანიზებისას ბოდლერი იცავს სქემას: aBBa CddC eeFgFg (აქ ვაჟური რითმების მქონე სტრიქონები აღნიშნულია მთავრული ასოებით. ყველა დანარჩენი სტრიქონი ქალურრიტმიანია). ამგვარად, რითმების თანმიმდევრობის შესაბამისად, სონეტში შეიძლება გამოვყოთ სტრიქონების სამი ჯგუფი: ორი კატენი და ერთი სექსტინა, რომელიც ორი ტერცეტისგან შედგება; ტერცეტები წარმოქმნიან ერთგვარ მთლიანობას, რადგან რითმების განაწილება სონეტში, როგორც გრამონმა დაადასტურა, ექვემდებარება „იმავე წესებს, რომლებსაც ექვემდებარება ნებისმიერი ექვსსტრიქონიანი სტროფი“.<sup>1</sup>

ზემომოყვანილ სონეტში რითმები განლაგებულია სამი შიდა კანონის შესაბამისად: 1) არ შეიძლება, რითმების წყვილები ერთმანეთის მიყოლებით იყოს განლაგებული; 2) თუკი ორ მოსაზღვრე სტრიქონში სხვადასხვაგვარი რითმებია, ერთი მათგანი ქალური უნდა იყოს, მეორე კი – ვაჟური; 3) მოსაზღვრე სტროფების ბოლოს ერთმანეთს ენაცვლება ქალურ – და ვაჟურრიტმიანი სტრიქონები: sédentaires (4) – fierté (8) –mystiques(14).

კლასიკური ფრანგული ლექსთწყობის შესაბამისად, ქალური რითმები ყოველთვის მთავრდება მუნჯი მარცვლით, ხოლო ვაჟური – ხმიანით: განსხვავებას რითმათა ორ კლასს შორის ადასტურებს არტიკულაცია: სონეტის

---

<sup>1</sup> M. Grammont, Petit traite de versification française, Paris, 1908, p. 86.

ყველა ქალურ რითმაში ბოლო მარცვლის მუნჯი „e“-ს გამოტოვება ხდება, როდესაც უკანასკნელ ხმიან მარცვალს მოსდევს თანხმოვანი: (austères – sédentaires; ténèbres – funèbres; attitudes – solitudes; magiques – mystiques); და, პირიქით, სონეტის ყველა ვაჟური რითმა მთავრდება ხმოვნით (volupté-fierté; fin – fin).

მჭიდრო კავშირი რითმების კლასიფიკაციასა და გრამატიკულ ფორმათა შერჩევას შორის ააშკარავებს, რომ რითმასთან ერთად სონეტის სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრამატიკაც.

სონეტის ყოველი სტრიქონი მთავრდება ან არსებითი სახელით (8-ჯერ), ან ზედსართავით (6-ჯერ). ყველა არსებითი სახელი, რომლებიც სტრიქონის ბოლოს გვხვდება, მდებარეობითი სქესისაა. ქალურ რითმიან რვავე სტრიქონში ისინი მრავლობით რიცხვშია. ტრადიციული ნორმის თანახმად. ეს აგრძელებს სტრიქონს ან ერთი მარცვლით, ან (თანამედროვე არტიკულაციით) პოსტვოკალური თანხმოვნით. ამავე დროს, უფრო მოკლე, ესე იგი, ვაჟური რითმიანი სტრიქონები ექვსივე შემთხვევაში მთავრდება მხოლოდ რიცხვში დასმული არსებითი სახელით.

ორივე კატრენში ვაჟურ რითმებს წარმოქმნის არსებითი სახელები, ხოლო ქალურს – ზედსართავები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საკვანძო სიტყვა ténèbres (6), რომელიც ერთიმეა სიტყვას funèbres (7) (საკითხს ამ ორი სტრიქონის ურთიერთმიმართების შესახებ ქვემოთ დავუბრუნდებით).

რაც შეეხება ტერცეტებს, პირველ მათგანში ყველა სტრიქონი მთავრდება არსებითი სახელებით, ხოლო მეორეში – ზედსართავებით. ეს კი ნიშნავს, რომ ორივე ტერცეტის გამაერთიანებელ რითმაში – სონეტის ერთადერთ ომონიმურ რითმაში sans fin (11) – sable fin(13) – მდებარეობითი სქესის არსებითი სახელი უპირისპირდება მამრობითი სქესის ზედსართავს; სონეტის ყველა ვაჟურ რითმას შორის ესაა ერთადერთი ზედსართავი და ერთადერთი მამრობითი სქესის სიტყვა.

სონეტი შედგება სამი რთული წინადადებისგან, რომლებიც წერტილებითაა გამიჯნული ერთმანეთისგან. თითოეული ამგვარი წინადადება მოიცავს თითო-თითო კატრენს და ბოლო სექსტინას. დამოუკიდებელი წინადადებებისა და პირიანი ზმნური ფორმების რაოდენობის მხრივ ეს ფრაზები არითმეტიკულ პროგრესიას წარმოქმნიან: 1. ერთი verbum finitum (aiment); 2. ორი (cherchent, eût pris); 3. სამი (prennent, sont, étoilent). რაც შეეხება ამ სამი ფრაზის დამოკიდებულ წინადადებებს, მათ მხოლოდ თითო-თითო verbum finitum აქვთ: 1. qui...sont; 2.s'ils pouvaient; 3. qui semblent.

სონეტის სამ ნაწილად დაყოფა გულისხმობს ანტინომიურ მიმართებას თითოეულ ორ რითმიან სტროფსა და ბოლო სექსტინას შორის, რომელიც სამ

რითმაზეა აგებული. ამგვარ დაყოფას უპირისპირდება სონეტის დიქოტომიური დანაწილება სტროფების ორ წყვილად. პირველ მათგანს შეადგენს ორი საწყისი კატრენი, მეორეს კი – ორი ბოლო ტერცეტი.

დაყოფის ბინარულ პრინციპს შეესატყვისება ტექსტის გრამატიკული წყობაც. მაგრამ ტექსტში, ასევე, თავს იჩენს შეუსაბამობა – ამჯერად სონეტის პირველ ნაწილსა (რომელიც მოიცავს ოთხ რითმას) და მეორეს (რომელშიც მხოლოდ სამი რითმაა) შორის. შეუსაბამობა შეიმჩნევა თვით სტროფებს შორისაც. პირველი ორი სტროფი შედგება ოთხ-ოთხი სტრიქონისგან, ხოლო ორი უკანასკნელი – სამ-სამისგან. სწორედ სონეტის პირველი და მეორე ნაწილების ეს ანტინომია, მათი შემადგენელი ელემენტების სიმეტრია და ასიმეტრია წარმოადგენს მთელი ნაწარმოების კომპოზიციის საფუძველს.

ადვილი შესამჩნევია მკაფიოდ გამოხატული სინტაქსური პარალელიზმი, ერთი მხრივ, პირველ კატრენსა და პირველ ტერცეტს, და მეორე მხრივ, მეორე კატრენსა და მეორე ტერცეტს შორის. პირველი კატრენიც და პირველი ტერცეტიც შედგება ორ-ორი წინადადებისგან; მეორე წინადადებები მიმართებითა და ორივე შემთხვევაში იწყება მიმართებითი ნაცვალსახელით qui. ამ ნაცვალსახელის ანტეცენდენტს წარმოადგენს მამრობითი სქესის არსებითი სახელი (მრავლობით რიცხვში), რომელიც მთავარ წინადადებაში პირდაპირი დამატების სახით გვევლინება [Les chats(3), Des ... sphinx(10)].

რაც შეეხება მეორე კატრენსა და მეორე ტერცეტს, თითოეული მათგანი შედგება ორი თანწყობილი ნაწილისგან; მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს სტროფის ორ უკანასკნელ სტრიქონს (7-8 და 13-14), წარმოადგენს მაქვემდებარებელკავშირიან რთულ წინადადებას. კატრენში ესაა პირობითი წინადადება [S'ils pouvaient(8)], ხოლო ტერცეტში – შედარებითი [(ainsi qu'un 13)]. კატრენში დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს, ხოლო ტერცეტში ის არასრულია და ჩასმულია მთავარში.

ჟურნალ „Le Corsaire“-ში გამოქვეყნებულ ტექსტში (1847) პუნქტუაცია შეესაბამება ამგვარ დანაწევრებას. პირველი კატრენიც და პირველი ტერცეტიც წერტილებით მთავრდება. მეორე კატრენსა და მეორე ტერცეტში ორი უკანასკნელი სტრიქონის წინ წერტილ-მძიმეა დასმული.

გრამატიკული ქვემდებარეების სემანტიკა ამძაფრებს, ერთი მხრივ, კატრენების, მეორე მხრივ კი ტერცეტების ამ პარალელიზმს.

I. კატრენები	II ტერცეტები
1. პირველი	1. პირველი
2. მეორე	2. მეორე

პირველი კატრენისა და პირველი ტერცეტის ქვემდებარეები აღნიშნავენ მხოლოდ სულიერ არსებებს, მაშინ, როდესაც მეორე კატრენის ერთი (ორიდან) ქვემდებარე და მეორე ტერცეტის ყველა გრამატიკული ქვემდებარე – უსულო მოვლენები ან საგნებია: L'Erébe(7), Leurs reins(12), des parcelles(13), un sables (13).

ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰორიზონტალურ მიმართებათა გარდა, შეიმჩნევა მიმართება, რომელსაც შეიძლება ვერტიკალური ვუწოდოთ: ორივე კატრენის ერთობლიობას უპირისპირდება ორივე ტერცეტის ერთობლიობა.

თუკი ტერცეტებში ყველა პირდაპირი დამატება გამოხატულია უსულო არსებითი სახელებით [les nobles attitudes (9), leurs prunelles (14)], პირველი კატრენის ერთადერთი პირდაპირი დამატება გამოხატულია სულიერი არსებითი სახელით [Les chats (3)], ხოლო მეორე კატრენის დამატებათა შორის უსულო არსებით სახელებთან ერთად [le silence et l'horreur] გვხვდება ნაცვალსახელი les, რომელიც მიემართება წინა წინადადებაში ნახსენებ კატებს.

ქვემდებარეებისა და დამატებების ურთიერთმიმართებათა თვალსაზრისით, სონეტში შეიძლება გამოიყოს ორი „დიაგონალური“ ხაზი: ზევიდან ქვევით მომავალი დიაგონალი აერთიანებს ორ კიდურა სტროფს (საწყის კატრენსა და ბოლო ტერცეტს); ის უპირისპირდება ქვევიდან ზევით მიმართულ დიაგონალს, რომელიც აერთიანებს ორ შიდა სტროფს.

კიდურა სტროფებში დამატებები და ქვემდებარეები ერთსა და იმავე სემანტიკურ კლასს მიეკუთვნება: ესაა სულიერი ქვემდებარეები (amoureux, savants – chats) პირველ კატრენში, და უსულოები (reins, parcelles-prunelles) – მეორე ტერცეტში.

და, პირიქით, შიდა სტროფებში დამატებები და ქვემდებარეები მიეკუთვნება ურთიერთსაპირისპირო კლასებს: პირველ ტერცეტში უსულო დამატება უპირისპირდება სულიერ ქვემდებარეს (ils [=chats] – attitudes); მეორე კატრენში ასეთსავე მიმართებასთან ერთად (ils [=chats] – silence, horreur) შეინიშნება, ასევე, მიმართება სულიერ დამატებასა და უსულო ქვემდებარეს შორის (L'Erébe – les [=chats]).

ამგვარად, თითოეული (ოთხიდან) სტროფი ინდივიდუალურია: ქვემდებარე და დამატება პირველ კატრენში გამოხატულია სულიერი არსებითი სახელებით, რაც დამახასიათებელია მხოლოდ პირველი ტერცეტის ქვემდებარისთვის; მეორე კატრენში ეს ნიშან-თვისება დამახასიათებელია ხან ქვემდებარისთვის, ხან კი – დამატებისთვის, ხოლო მეორე ტერცეტში არც ერთი მათგანისთვის არაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება სონეტის გრამატიკულ სტრუქტურას, ტექსტის დასაწყისსა და ბოლოს აშკარად შეინიშნება რამდენიმე ანალოგია. მხოლოდ პირველსა და

ბოლო სტროფებში ვპოულობთ ორ ქვემდებარეს, რომლებსაც ერთი და იგივე შემასმენელი და დამატება ახლავთ. ყველა ქვემდებარესა და დამატებას ერთვის მსაზღვრელი (*Les amoureux fervents, les savants austères – Les chats puissants et doux; des parcelles d'or, un sable fin – leurs prunelles mystiques*).

ზმნიზედები ახლავს მხოლოდ პირველსა და ბოლო შემასმენლებს; ორივე ზმნიზედა წარმოქმნილია ზედსართავებისგან და ერთმანეთს უკავშირდება რითმით, რომელსაც ხაზს უსვამს ასონანსი: *Aiment également* (2) – *Étoilent vaguement* (14).

მეშველი ზმნისა და სახელადი ნაწილისგან შედგება მხოლოდ მეორე და ბოლოდან მეორე შემასმენლები; ამასთან, ორივე შემთხვევაში სახელადი ნაწილი ხაზგასმულია შიდა რითმით: *Qui, comme eux sont frileux* (4); *Leurs reins féconds sont pleins* (12).

რაც შეეხება ზედსართავებს, მათი რაოდენობა დიდია მხოლოდ კიდურა სტროფებში და შეადგენს ცხრას კატრენში და ხუთს კატრენში; და პირიქით, ორივე შიდა სტროფი შეიცავს მხოლოდ სამ ზედსართავს (*funèbres, nobles, grands*).

როგორც უკვე ვთქვით, ქვემდებარეები და დამატებები ერთსა და იმავე კლასს მიეკუთვნება მხოლოდ სონეტის დასაწყისსა და დასასრულს. პირველ კატრენში ისინი სულიერია, ხოლო მეორე ტერცეტში – უსულო. სწორედ საწყის სტროფში, სადაც, ძირითადად, სულიერი არსებები ფიგურირებენ, მითითებულია მათი ფუნქციები და აქტივობის ხასიათი.

სონეტის პირველი სტრიქონი შედგება მხოლოდ ზედსართავებისგან. ორივე მათგანი სუბსტანტივირებულია და მიემართება ქვემდებარეებს: *Les amoureux* და *les savants*. ორივე შემთხვევაში ზმნური საფუძველი ადვილად შესამჩნევია; ამ გაგებით, ტექსტი იწყება სიტყვებით: „ისინი, ვისაც უყვართ“ და „ისინი, ვინც იციან“.

სონეტის ბოლო სტრიქონში კი საპირისპირო ვითარებაა: გარდამავალი ზმნა *Étoilent*, რომელიც შემასმენლის როლში გვევლინება, არსებითი სახელისგანაა ნაწარმოები. ეს ზმნა უკავშირდება სულიერი და კონკრეტული აპელატივების ჯგუფს, რომლებიც დომინირებს ამ ტერცეტში და განასხვავებს მას სამი წინა სტროფისგან. ზმნას ამ ჯგუფის წევრებთან აშკარა ომოფონია აკავშირებს: / *etɛsɛl*/ – / *e de parɛsɛl*/ – / *etwaɫ*/.

ბოლოს, ორივე სტროფის ბოლო სტრიქონების დამოკიდებულ წინადადებებში გვხვდება ინფინიტივი, რომელიც ერთვის შემასმენელს და დამატების როლში გვევლინება. ეს ორი დამატება ერთადერთი ინფინიტივებია მთელ ლექსში: *S'ils pouvaient... incliner* (8); *Qui semblent s'endormir* (11).

ამგვარად, არც სონეტის დიქტომიური დანაწევრება და არც მისი დაყოფა სამ ნაწილად არ განაპირობებს იზომეტრიული ნაწილების ურთიერთგაწონასწორებას. მაგრამ თუკი სონეტის თოთხმეტ სტრიქონს შუაზე გავყოფთ, მაშინ მეშვიდე სტრიქონი სწორედ ლექსის პირველი ნახევრის ბოლოს აღმოჩნდება, მერვეთი კი მეორე ნაწილი დაიწყება. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს ორი შუალედური სტრიქონი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოიყოფა თავისი გრამატიკული სტრუქტურით.

მაშასადამე, გარკვეული თვალსაზრისით, ლექსი სამ ნაწილად ნაწევრდება: ორი შუალედური სტრიქონი და ორი იზომეტრიული ჯგუფი, ესე იგი, ამ წყვილის წინამორბედი ექვსი სტრიქონი და მომდევნო ექვსი სტრიქონი. ასე ვიღებთ ერთგვარ დისტიქს, რომელიც ჩასმულია ორ სექსტინას შორის.

ყველა ზმნური და ნაცვალსახელოვანი ფორმა, ასევე – სონეტის ზმნური წინადადებების ყველა ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, გარდა მეშვიდე სტრიქონისა – *L'Èrèbe les eût pris pour ses coursiers funèbres*. აქ გვხვდება ერთადერთი (მთელ ტექსტში) საკუთარი სახელი; მხოლოდ ამ სტრიქონში გვხვდება მხოლოდ რიცხვში დასმული *verbum finitum*-ი და მისი ქვემდებარე. თანაც, ესაა ერთადერთი სტრიქონი, სადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი (*ses*) მიუთითებს მხოლოდ რიცხვზე.

სონეტში გამოიყენება მხოლოდ მესამე პირი, ხოლო ერთადერთი ზმნური დრო – აწმყოა. გამონაკლისს წარმოადგენს კვლავ მეშვიდე და მერვე სტრიქონები, სადაც პოეტი საუბრობს წარმოსახულ ქცევაზე [*eût pris* (7)], რომელიც უკავშირდება ირეალურ პირობას [*S'ils pouvaient* (8)].

ლექსის ტექსტში შეიმჩნევა ყოველი ზმნისა და არსებითი სახელისადმი მსაზღვრელი სიტყვის დართვის აშკარა ტენდენცია. აქ ყოველი ზმნური ფორმა მართავს ამა თუ იმ წევრს (არსებით სახელს, ნაცვალსახელს, ინფინიტივს) ან შემასმენლის სახელად ნაწილს. ყველა გარდამავალი ზმნა მართავს მხოლოდ არსებით სახელებს (*Aiment... Les chats* (2-3); *cherchent le silence et l'horreur* (6); *prennent... les... attitudes* (9); *Étoient...leurs prunelles* (14)) და ერთადერთ გამონაკლისს კვლავ წარმოადგენს მეშვიდე სტრიქონი, სადაც დამატების როლში გვევლინება ნაცვალსახელი: *les eût pris*.

ადნომინალური დამატებების გარდა, რომელთაგან არც ერთს არა აქვს განსაზღვრება, სონეტის ყველა არსებით სახელს (სუბსტანტივირებულ ზედსართავთა ჩათვლით) ახლავს ეპითეტები (მაგალითად, *chats puissants et doux*) ან განსაზღვრებითი დამატებები [*Amis de la science et de la volupté*(5)]. და კვლავ ერთადერთ გამონაკლისს ვხვდებით მეშვიდე სტრიქონში: *L'Èrèbe les eût pris*.



პირველი კატრენის ხუთივე ეპითეტი [fervents (1), austères (1), mûre (2), puissants (3), doux (3)] და ორივე ტერცეტის ექვსი ეპითეტი [nobles (9), grands (10), féconds (12), magiques (12), fin (13), mystiques (14)] წარმოადგენს ვითარებით ზედსართავებს, მაშინ, როდესაც მეორე კატრენში – და სწორედ მეშვიდე სტრიქონში – გვხვდება მიმართებითი ზედსართავი (cursiers funèbres).

გარდა ამისა, სწორედ ამ სტრიქონში ირღვევა მიმართება „სულიერი – უსულო“, რომელიც აკავშირებს ქვემდებარესა და დამატებას მეორე კატრენის ყველა სტრიქონში; მხოლოდ მეშვიდე სტრიქონში იჩენს თავს საპირისპირო მიმართება ქვემდებარესა და დამატებას შორის: „უსულო – სულიერი“.

როგორც ვხედავთ, მეშვიდე სტრიქონი ან მეორე კატრენის ორი უკანასკნელი სტრიქონი ძალზე სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სონეტის შუა დისტიქის საგანგებოდ გამოყოფის ტენდენცია, ზოგადად, უპირისპირდება ტექსტის სამ ასიმეტრიულ ნაწილად დაყოფის პრინციპს, რომლის თანახმად, მეორე კატრენი, მთლიანობაში, უპირისპირდება, ერთი მხრივ, პირველ კატრენს, მეორე მხრივ კი – ბოლო სექსტინას. ამგვარად, შუალედური დისტიქი წარმოადგენს ცენტრალურ სტროფს, რომელიც მრავალი ნიშან-თვისებით განსხვავდება მარჯინალური სტროფებისგან.

მაშასადამე, მეშვიდე სტრიქონი ერთადერთია, სადაც ქვემდებარე და შემასმენელი მხოლოდობით რიცხვშია დასმული. ეს დაკვირვება უნდა გავაფართოოთ: ქვემდებარე ან დამატება მხოლოდ მეორე კატრენშია დასმული მხოლოდობით რიცხვში; და თუ მეშვიდე სტრიქონში ქვემდებარის (L'Erèbe) მხოლოდობითი რიცხვი უპირისპირდება დამატების (les) მრავლობით რიცხვს, მომიჯნავე სტრიქონებში საპირისპირო ვითარებაა: აქ ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, ხოლო დამატება – მხოლოდობითში [ Ils cherchent le silence et l'horreur (6); S'ils pouvaient ... incliner leur fierté (8)].

დანარჩენ სტროფებში დამატებაც და ქვემდებარეც მრავლობით რიცხვშია [Les amoureux... et les savants... Aiment... Les chats (1-3); Ils prennent... les... attitudes(9); Et des parcelles... Étoilent... leurs prunelles(13-14)]. შევნიშნავთ, რომ მეორე კატრენში ქვემდებარისა და დამატების მხოლოდობით რიცხვს შეესაბამება უსულობის ნიშან-თვისება, ხოლო მრავლობითს – სულიერებისა. გრამატიკული რიცხვის მნიშვნელობა ბოდლერისთვის განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება იმ როლის წყალობით, რომელსაც ასრულებს დაპირისპირება „მხოლოდობითი – მრავლობითი“ სონეტის რითმებში.

დავძენთ, რომ მეორე კატრენის რითმათა სტრუქტურა განსხვავდება ლექსის ყველა სხვა რითმისგან. ქალურ რითმათა შორის მეორე კატრენის

რიტმა *ténèbres– funèbres* ერთადერთია, სადაც გვხვდება მეტყველების ორი განსხვავებული ნაწილი.

გარდა ამისა, სონეტის ყველა სარიტმო სიტყვაში, მეორე კატრენის რიტმებს თუ არ ჩავთვლით, მახვილიან ხმოვანსა და მის წინ მდგარ საყრდენ თანხმოვანს წინ უძღვის ერთი ან რამდენიმე იდენტური ფონემა: *savants austères* (1) – *sédentaires* (4), *mûre saison* (2) – *maison* (3), *attitudes* (9) – *solitudes* (10), *un rêve sans fin* (11) – *un sable fin* (13), *étincelles magiques* (12) – *prunelles mystiques* (14). მეორე კატრენში კი არც წყვილი *volupté*(5) – *fierté* (8) და არც წყვილი *ténèbres* (6) – *funèbres* (7) არ შეიცავს არავითარ თანახმიერებას საკუთრივ რიტმის წინა მარცვლებში.

ამასთან ერთად, მეშვიდე და მერვე სტრიქონების სიტყვებს ალიტერაცია აკავშირებს: *funèbres* (7) – *fierté* (8); მეექვსე სტრიქონი კი უკავშირდება მეხუთეს: *ténèbres* (6) იმეორებს უკანასკნელ მარცვალს სიტყვისა *volupté* (5); სტრიქონებს აახლოებს შიდა რიტმაც: *science* (5) – *silence* (6). ამგვარად, რიტმებიც კი ადასტურებს მეორე კატრენის ორ ნაწილს შორის კავშირის სისუსტეს.

სონეტის ბგერით წყობაში საგანგებო როლს ასრულებს ცხვირისმიერი ხმოვნები. ეს ხმოვნები, რომელთა ბუნება, გრამონის მარჯვე დეფინიციით<sup>1</sup>, „თითქოს შენიღბულია მათი ნაზალურობით“, ძალზე ხშირად გვხვდება პირველ კატრენში (9 ნაზალური – ყოველ სტრიქონში ორი ან სამი) და, განსაკუთრებით, ბოლო სექსტინაში [21 ნაზალური, რომელთა რაოდენობა იზრდება პირველი სტრიქონის სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლისას – 3(9) – 4 (10) – 6 (11): *Qui semblent s’endormir dans un rêve sans fin* და იკლებს მეორეში – 5(12) – 3 (13) – 1(14)]. სამაგიეროდ, მეორე კატრენში მხოლოდ სამი ნაზალური ხმოვანია – თითო-თითო ყოველ სტრიქონში. გამონაკლისს კვლავ წარმოადგენს მეშვიდე სტრიქონი – ერთადერთი, სადაც არ გვხვდება ცხვირისმიერი ხმოვნები. მეორე სტროფი კი ერთადერთია, სადაც ცხვირისმიერი ხმოვანი არ გვხვდება ვაჟურ რიტმაში.

ამასთან, მეორე კატრენში წამყვან როლს ასრულებს უკვე არა ხმოვნები, არამედ – თანხმოვნები, კერძოდ, ნარნარა თანხმოვნები. მეორე კატრენი ერთადერთია, სადაც შეინიშნება ნარნარა ფონემების სიჭარბე – 23 ფონემა პირველი კატრენის 15-თან, პირველი ტერცეტის 11-თან და მეორე ტერცეტის 14 – თან შედარებით. /r/-ს რაოდენობა კატრენებში რამდენადმე მეტია, ვიდრე /l/-ისა, და ცოტათი ნაკლებია ტერცეტებში.

მეშვიდე სტრიქონი, სადაც მხოლოდ ორი /l/ გვხვდება, შეიცავს ხუთ /r/-ს, ესე იგი, მეტს, ვიდრე – სონეტის ნებისმიერ სხვა სტრიქონი. გავისხენოთ,

<sup>1</sup> M. Grammont, *Traité de phonétique*, Paris, 19390, p 384.

რომ, გრამონის თანახმად, სწორედ /r/-სთან დაპირისპირებისას იძლევა /l/ ფონემა „არა ღრჭიალის, არა ჟღრიალის, არა ჭრიალის, არამედ, პირიქით, გლუვ და მედონ, გამჭვირვალე ხმას“.<sup>1</sup> მ-ლ დიურანის ბოლოდროინდელი აკუსტიკური გამოკვლევა<sup>2</sup> ადასტურებს ყოველგვარი, განსაკუთრებით კი ფრანგული /r/-ის მკვეთრ ჟღერადობას /l/-ს glissando-სთან შედარებით. ამიტომ წინა პლანზე /l/-ის წამოწევა და /r/-ს რაოდენობის შემცირება აშკარად უსვამს ხაზს რეალური კატების ფანტასტიკურ არსებებად ქცევის პროცესს.

სონეტის პირველ ექვს სტრიქონს აერთიანებს განმეორებადი ნიშან-თვისება: აქ შეიმჩნევა წევრთა სიმეტრიული წყვილები, რომლებსაც აკავშირებს მართებული კავშირი *et*: Les amoureux fervents et les savants austères ((1); Les chats puissants et doux (3); Qui comme eux sont frileux et comme eux sédentaires (4); Amis de la science et de la volupté (5). განსაზღვრებათა ბინარიზმი ამ სტრიქონებში, საზღვრულთა ბინარიზმთან ერთად მომდევნო, მეექვსე სტრიქონში – le silence et l’horreur des ténèbres– იძლევა ხიაზმს; ამასთან ერთად, მეექვსე სტრიქონი ამთავრებს ბინარულ კონსტრუქციასა ჯაჭვს. ეს კონსტრუქციები, რომლებიც აკავშირებს პირველი „სექსტინის“ თითქმის ყველა სტრიქონს, სონეტში შემდგომ აღარ გვხვდება.

წინადადების შეთანხმებულ წევრთა წყვილები და, ასევე, რითმები [არა მხოლოდ ბოლორიტმები, რომლებიც ხაზს უსვამს სემანტიკურ კავშირებს, არამედ ისეთებიც, როგორებიცაა austères (1) – sédentaires (4); saison(2) – maison (3), და, განსაკუთრებით, შიდა რითმები] განამტკიცებს პირველი ექვსი სტრიქონის ურთიერთკავშირს: amoureux (1) – comme eux (4) – frileux (4) – comme eux (4); fervents(1) – savants(1)– également(2) – dans (2) – puissants; science (5) – silence (6). ამგვარად, პირველ კატრენში პერსონაჟების დამახასიათებელი ყველა ზედსართავი ერთმანეთს ერთმეება. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი სიტყვა: doux(3). ორმაგი ეტიმოლოგიური ფიგურა, რომელიც აკავშირებს სამი სტრიქონის პირველ სიტყვებს – Les amoureux (1) – Aiment (2) – Amis(5) – ასევე განამტკიცებს ექვსსტრიქონიანი „ფსევდოსტროფის“ ერთიანობას; ის იწყება და მთავრდება სტრიქონთა წყვილებით, სადაც პირველი ნახევარსტრიქონები ერთმანეთს ერთმეება: fervents (1) – également(2); science (5) – silence (6).

სიტყვა les chats (3) პირდაპირი დამატებაა წინადადებაში, რომელიც მოიცავს სონეტის პირველ სამ სტრიქონს და ქვემდებარის სახით იგულისხმება წინადადებებში, რომლებიც სამ მომდევნო სტრიქონს მოიცავს [Qui

---

<sup>1</sup> Ibid., p. 388.

<sup>2</sup> M. Durand, La spécificité du phoneme. Application au cas R/L, “Journal de Psychologie“, LVII, 1960, p.405-419.

comme eux sont frileux (4); Ils cherchent le silence (6)]. ასე იყოფა ჩვენი კვაზი-სექსტინა ორ კვაზიტერცეტად.

შუალედურ დისტიქში მეშვიდე სტრიქონის (L' Érebe les eût pris pour ses coursiers funèbres) დამატება (ამჯერად ნაგულისხმევი) – Les chats – ასევე ნაგულისხმევ გრამატიკულ ქვემდებარედ იქცევა მერვე სტრიქონში (S'ils pouvaient). ამ მხრივ მერვე სტრიქონი უკავშირდება მომდევნო ფრაზას [Ils prennent (9)].

რაც შეეხება დამოკიდებულ წინადადებებს, ზოგადად, ისინი ერთგვარი ხიდია მთავარ წინადადებასა და მომდევნო ფრაზას შორის. მაგალითად, ნაგულისხმევი ქვემდებარე chats მეცხრე და მეათე სტრიქონებში ადგილს უთმობს მინიშნებას მეტაფორაზე sphinx მეთერთმეტე სტრიქონის მიმართებით წინადადებაში (Qui semblement s'endormir dans un rêve sans fin) და, მაშასადამე, აახლოებს ამ სტრიქონს იმ ტროპებთან, რომლებიც გრამატიკული ქვემდებარეების როლში გვევლინება ბოლო ტერცეტში. განუსაზღვრელი არტიკლი სრულიად არ გვხვდება სონეტის პირველ ათ სტრიქონში, სადაც გამოყენებულია თოთხმეტი განსაზღვრული არტიკლი; სამაგიეროდ, ბოლო ოთხ სტრიქონში გვხვდება მხოლოდ განუსაზღვრელი არტიკლი.

მთლიანობაში, ორი მიმართებითი წინადადების – მეთერთმეტე და მეოთხე სტრიქონებში – ურთიერთმიმართების წყალობით ოთხ უკანასკნელ სტრიქონში იკვეთება წარმოსახული კატრენის კონტურები, რომელიც თითქმის შეესაბამება რეალურად არსებულ პირველ კატრენს. ამას ერთად, როგორც ჩანს, ბოლო ტერცეტის ფორმალური სტრუქტურა განმეორებულია სონეტის პირველ სამ სტრიქონში.

სულიერი ქვემდებარეები ლექსში არც ერთხელ არაა გამოხატული არსებითი სახელებით, არამედ, უფრო, სუბსტანტივირებული ზედსართავით სონეტის პირველ სტრიქონში (Les amoureux, les savants) და პირის ან მიმართებითი ნაცვალსახელებით – მომდევნო წინადადებებში.

ადამიანები მოხსენიებულია მხოლოდ პირველ სტრიქონში, სადაც ქვემდებარეთა როლში გვევლინება სუბსტანტივირებული ნაზმნარი ზედსართავები, რომლებიც ერთგვაროვანი წევრებია.

კატები, რომელთა სახელწოდებაც სონეტის სათაურშია გატანილი, თვით ტექსტში მხოლოდ ერთხელაა დასახელებული – პირველ წინადადებაში, სადაც სიტყვა chats პირდაპირი დამატებაა: Les amoureux... et les savants (1)... Aiment (2)... Les chats (3). ლექსში არ მეორდება არა მარტო სიტყვა chats, არამედ „შ“-ს ალიტერაციაც მხოლოდ ერთ სიტყვაში გვხვდება – /ilfɛrʃə/.

ეს ორჯერ უსვამს ხაზს კატების ძირითად ქმედებას. ყრუ შიშინი, რომელიც ასოცირდება სონეტის „გმირების“ სახელწოდებასთან, შემდგომ ლექსში აღარ ისმის.

მესამე სტრიქონიდან დაწყებული, სიტყვა chats იქცევა ნაგულისხმევ ქვემდებარედ – სონეტის უკანასკნელ სულიერ ქვემდებარედ.

არსებით სახელს chats ქვემდებარის, პირდაპირი და ირიბი დამატების როლში ენაცვლება ანაფორული ნაცვალსახელები ils (6,8,9), les (7), leur(s) (8, 12, 14); ნაცვალსახელები ils და les მხოლოდ კატებს მიემართება. ეს დამოკიდებული (ზმნიზედური) ფორმები გვხვდება მხოლოდ ორ შიდა სტროფში – მეორე კატრენსა და პირველ ტერცეტში. პირველ კატრენში მათ შეესაბამება დამოუკიდებელი ნაცვალსახელი eux (4) (ორჯერ), რომელიც მხოლოდ ადამიანებს მიემართება; უკანასკნელ ტერცეტში კი არ არის არც ერთი პირის ნაცვალსახელი.

სონეტის პირველი წინადადების ქვემდებარეებს ახლავს თითო შემასმენელი და თითო დამატება: გამოდის, რომ Les amoureux fervents et les savants austères (1), საბოლოოდ, dans leur mûre saison (2) ერთმანეთის ტოლფარდია მედიატორი არსების წყალობით, რომელიც აერთიანებს ცხოვრების ორი – თუმცა კი ადამიანური, მაგრამ ურთიერთსაპირისპირო – წესის ანტინომიურ ნიშან-თვისებებს. ისინი ოპოზიციური ხასიათისაა: გრძნობადი/ინტელექტუალური. ამიტომ სუბიექტის ფუნქციას ასრულებენ სწორედ კატები, რომლებიც ერთდროულად სწავლულებიც არიან და მიჯნურებიც.

კატრენებში კატები წარმოგვიდგებიან რეალურად არსებული ცხოველების სახით. და, პირიქით, ტერცეტებში საუბარია მათი ფანტასტიკური გარდასახვის შესახებ. ამასთან, მეორე კატრენი არსებითად განსხვავდება პირველისგან, ისევე, როგორც დანარჩენი სტროფებისგან. ორაზროვანი გამოთქმა Ils cherchent le silence et l'horreur des ténèbres მიუთითებს კატების მიმართ დაშვებულ შეცდომაზე; მინიშნება ამ შეცდომაზე გვხვდება მეშვიდე სტრიქონში, ხოლო მომდევნო სტრიქონში ის აშკარა ხდება. ამ კატრენის შემადგენელი ხასიათი, განსაკუთრებით – მისი მეორე ნახევრის და, კერძოდ, მეშვიდე სტრიქონის განკერძოებულობა გამძაფრებულია გრამატიკული და ბგერითი წყობის თავისებურებებით.

სიტყვა L' Érebe – („სიბნელის საუფლო, რომელიც ესაზღვრება ჯოჯოხეთს“) წარმოადგენს მეტონიმიურ სუბსტიტუტს გამოთქმისა „ბნელი ძალები“ და, ასევე, სახელისა Érebe („ღამის ძმა“). შეიმჩნევა სემანტიკური სიახლოვე ამ სიტყვასა და l'horreur des ténèbres-ისადმი კატების ლტოლვას შორის, რასაც განამტკიცებს ბგერითი მსგავსება /tenɛbrə/-სა და /erɛbə/-ს შორის. ეს სიახლოვე ხელს უწყობს იმას, რომ კატები აღიქმება, თითქმის როგორც შემზარავი ფუნქციის მქონენი – coursiers funèbres. რა იგულისხმება – გაცრუებული იმედი თუ ყალბი იდენტიფიკაცია ერებოსის მხრივ სიტყვებში: L' Érebe les

eût pris pour ses coursiers funèbres? ამ სტრიქონის საზრისი, რომლის განმარტებასაც კრიტიკოსები ცდილობდნენ<sup>1</sup>, კვლავ ბუნდოვანი რჩება.

ყოველ კატრენსა და ყოველ ტერცეტში კატების ახლებური იდენტიფიცირება ხდება. პირველ კატრენში კატები ასოცირდება ადამიანთა ცხოვრების ორ ყაიდასთან; სამაგიეროდ, მეორე კატრენში, სადაც კატები გაიგივებულია მითოლოგიური სამყაროს ცხოველებთან, ახლებური იდენტიფიკაცია უფლებელყოფილია კატების სიამაყის გამო. მთელ სონეტში ესაა ერთადერთი უფლებელყოფილი იდენტიფიკაცია. ტექსტის ამ ადგილის გრამატიკული წყობა, რომელიც აშკარად განსხვავდება დანარჩენი სტროფების გრამატიკული წყობისგან, ხაზს უსვამს მის უჩვეულობას: ირეალური კილო, ვითარებითი ზედსართავების არარსებობა, მხოლოდით რიცხვში დასმული უსულო ქვემდებარე, რომელსაც არ ახლავს არავითარი ზედსართავი და რომელიც მართავს მრავლობით რიცხვში დასმულ სულიერ დამატებას.

სტროფები გაერთიანებულია ალუზიური ოქსიმორონებით. S'ils POUVAIENT au servage incliner leur fierté „მათ რომ შეეძლოთ თავიანთი სიამაყის ალაგმვა მონობის წინაშე“, მაგრამ კატებს ეს არ „შეუძლიათ“, რადგან ჭეშმარიტად „მძლავრნი“, PUISSANTS(3) არიან. შეუძლებელია მათი პასიურად „გამოყენება“, რათა აქტიური როლი შეასრულონ, და აი, ახლა ისინი უკვე აქტიურად „იღებენ“ თავიანთ თავზე, PRENNENT (9), პასიურ როლს, რადგან ძალზე უყვართ შინ ჯდომა

მათი „სიამაყე“, Leur fierté (8) აიძულებს კატებს, მიიღონ „უზარმაზარი სფინქსების“ [Des grands sphinx (10)] „კეთილშობილური პოზები“, nobles attitudes (9). „განრთხმული სფინქსებისა“ [sphinx allongés (10)] და ჩაფიქრებული [en songeant (9)] კატების მიმგავსება განმტკიცებულია პარონომაზიული კავშირით ორ მიმღეობას შორის, რომლებიც სონეტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება: āsaž და al:ze. კატები გაიგივებულია სფინქსებთან, რომლებსაც, თავის მხრივ, თითქოს სძინავთ, semblent s'endormir; მაგრამ ეს მაცდური შედარება, რომელიც შინ ჯდომის მოყვარულ კატებს [და ყველას, ვინც მათ წააგავს – comme eux(4)] ამსგავსებს უძრავ ზებუნებრივ არსებებს, სინამდვილეში მეტამორფოზის მნიშვნელობას იღებს. კატები და მათთან გაიგივებული ადამიანები თითქოს ერთობლივად წარმოქმნიან ზღაპრულ ურჩხულებს, რომლებსაც ადამიანის თავი და ცხოველის ტანი აქვთ. ამგვარად, ერთ უფლებელყოფილ იდენტიფიკაციას ენაცვლება მეორე, რომელიც ასევე მითოლოგიურია.

---

<sup>1</sup> შდრ. „ L'intermédiaire des chercheurs et des curieux“, LXVIII, col.338 et 509.

კატები გაიგივებულია „უზარმაზარ სფინქსებთან“, grands sphinx, იმის წყალობით, რომ ისინი ჩაფიქრებულნი არიან [en songeant (9)]; ეს გარდასახვა ხაზგასმულია პარონომაზიული ჯაჭვით, რომელიც უკავშირდება მითითებულ საკვანძო სიტყვებს და რომლის წყალობითაც ხდება ცხვირისმიერი ხმოვნების კომბინირება კბილისმიერ და ლაბიალურ თანხმოვნებთან: en songeant / āsažā .../ (8) – grands sphinx /...āsfñ .../(10) – fond /fo/(10) – semblent /sā .../ (11) – s'endormir /sā.../11) – dans un /.āzñ / (11) – sans fin /sāñ/ (11).

ცხვირისმიერი /Ĕ/ და სიტყვა „sphinx“-ის /sfñks/ ეს ფონემები კვლავ გვხვდება ბოლო ტერცეტში: reins /Ĕ / (12) – pleins /..Ĕ/ (12) – étincelles /...Ĕs.../(12) – ainsi /...Ĕs.../ (13) – qu'un sable /kĔs.../(13).

პირველ ტერცეტში ნათქვამია: Les chats puissants et doux, orgueil de la maison. როგორ უნდა გავიგოთ ეს ფრაზა: კატები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი სახლით, ამ სიამაყის განსახიერებას წარმოადგენენ, თუ პირიქით, თვით სახლი, რომელიც ამაყობს თავისი მობინადრებით – კატებით, ცდილობს, ერეოსის მსგავსად, დაიმორჩილოს ისინი? ყველა შემთხვევაში, ამკარაა, რომ „სახლი“, maison (3), რომელშიც იმყოფებიან კატები პირველ კატრენში, შემდგომ იქცევა უკიდევანო უდაბნოდ, „მარტოობათა სიღრმედ“, fond des solitudes (10); სიცივის შიშის გამო, რომელიც აახლოებს „მცივანა“, frileux (4), კატებსა და „ვნებიან“, fervents (1), მიჯნურებს (fervē / და /frilp/ შორის პარონომაზიური კავშირია), შესაბამისი ჰავაა მკაცრ (სწავლულთა მსგავსად), უკაცრიელ, ცხელ (ვნებიან მიჯნურთა მსგავსად) უდაბნოში, რომელიც გარს ერტყმის სფინქსებს.

დროით პლანში გამოთქმას mûre saison, (2), „სიმწიფის ასაკი“, რომელიც ერთმება სიტყვას maison(3), „სახლი“, პირველ კატრენში და უახლოვდება თავისი მნიშვნელობით, ამკარად ეწინააღმდეგება პირველი ტერცეტი; აქ ეს ორი პარალელური ჯგუფი [dans leur mûre saison (2) და dans un rêve sans fin (11)] ურთიერთს უპირისპირდება: პირველ შემთხვევაში საუბარია დროის შეზღუდული მონაკვეთის, მეორეში კი – მარადისობის შესახებ. სონეტის არც ერთ სხვა ადგილას არ გვხვდება კონსტრუქციები თანდებულთა dans ან რომელიმე სხვა ზმნიზედური თანდებულთა.

ორივე ტერცეტი ეძღვნება კატების სასწაულებრივ გარდასახვას. ეს გარდასახვა გრძელდება სონეტის ბოლომდე. თუკი პირველ ტერცეტში უდაბნოში განრთხმული სფინქსები იწვევდნენ ასოციაციებს როგორც ცოცხალ არსებებთან, ისე – მათ სიმულაკრებთან, მომდევნო ტერცეტში სულიერი არსებები ადგილს უთმობენ მატერიალურ ნაწილაკებს. სინეკდოქეები კატებს-სფინქსებს მათი სხეულის ნაწილებით ანაცვლებს: leurs reins (12), leurs prunelles (14). ორი შიდა სტროფის ნაგულისხმევი ქვემდებარე დამატებად იქცევა ბოლო ტერ-

ცეტიში: თავდაპირველად სიტყვა „კატები“ გვევლინება ქვემდებარის იმპლიცი-ტური განსაზღვრების როლში – *Leurs reins féconds sont pleins* (12), ხოლო შემდეგ, ბოლო წინადადებაში – მხოლოდ პირდაპირი დამატების იმპლიცი-ტურ განსაზღვრებად: *Étoient vaguement leurs prunelles* (14). ამგვარად, სიტყვა „კატები“ უკავშირდება გარდამავალი ზმნის პირდაპირ დამატებას სონეტის ბოლო წინადადებაში და ქვემდებარეს – ბოლოს წინა, ატრიბუტულ წინადადებაში. შედეგად, წარმოიქმნება ორი შესაბამისობა, პირველ შემთხვევაში – სიტყვასთან „კატები“, რომელიც სონეტის პირველ წინადადებაში პირდაპირ დამატებად გვევლინება, ხოლო მეორეში – სიტყვასთან „კატები“, როგორც მეორე წინადადების ქვემდებარესთან.

სონეტის დასაწყისში ქვემდებარეც და დამატებაც სულიერ არსებათა კლასს მიეკუთვნება, ხოლო ბოლო წინადადებაში – უსულო არსებათა კლასს. საერთოდ, ბოლო ტერცეტში ყველა უსულო არსებითი სახელი კონკრეტულ საგნებს აღნიშნავს: *reins* (12), *étincelles* (12), *parcelles* (13), *or* (13), *sable* (13), *prunelles* (14);სამაგიეროდ, წინამორბედ სტროფებში ყველა უსულო საზოგადო სახელი, გარდა ადნომინალური სახელებისა, აღნიშნავდნენ აბსტრაქტულ ცნებებს:*saison* (2), *orgueil* (3), *silence* (6), *horreur* (6), *servage* (8), *fierté* (8). *attitudes* (9), *rêve* (11). უსულო ქვემდებარე და მდედრობითი სქესის დამატება ბოლო წინადადებაში, *des parcelles d'or ...Étoient... leurs prunelles*, გაწონასწორებულია პირველი წინადადების ქვემდებარითა და დამატებით; ორივე მათგანი მამრობითი სქესისაა და აღნიშნავს სულიერ არსებებს – *Les amoureux et les savants... Aiment... Les chats* (1-3). მდედრობითი სქესის ერთადერთი ქვემდებარე მთელ სონეტში არის *parcelles* (13), რომელიც უპირისპირდება მამრობით სქესს იმავე სტრიქონის ბოლოს: *sable fin* (13); თავის მხრივ, ესაა მამრობითი სქესის ერთადერთი მაგალითი სონეტის ვაჟურ რითმებში.

ბოლო ტერცეტში მატერიის უმცირესი ნაწილაკების აღმნიშვნელი სიტყვები თავდაპირველად გვევლინებიან დამატების, შემდეგ კი – ქვემდებარის როლში. საბოლოო იდენტიფიკაცია სონეტში აკავშირებს სწორედ ამ გავარვარებულ ნაწილაკებს „ქვიშის უწვრილეს მარცვლებთან“, *sable fin* (13), და მათ ვარსკვლავებად აქცევს.

ნიშანდობლივია ორივე ტერცეტის შემაკავშირებელი რითმა; ესაა სონეტის ერთადერთი ომონიმური რითმა და ერთადერთი ვაჟური რითმა, რომელიც აკავშირებს მეტყველების გასხვავებულ ნაწილებს. სარიტმო სიტყვებს შორის არსებობს ერთგვარი სინტაქსური სიმეტრია, რადგან თითოეული მათგანი ამთავრებს დამოკიდებულ წინადადებას, რომელთაგან ერთ სრულია, მეორე კი – ელიფსური. ბგერითი თანხვედრა შეიმჩნევა არა მხოლოდ გართმული სტრიქონების ბოლო მარცვლებში, არამედ ვრცელდება ორივე სტრი-



ქონზე მთლიანად: /säbla sadʁmir dāzœ revə säfe/ (11) – /parselə dɑr ɛsi kœ sablə fe/ (13). შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ეს რითმა, რომელიც აერთიანებს ტერცეტებს და შეგვახსენებს „ქვიშის უწვრილესი მარცვლებს“ შესახებ, un sable fin, თითქოს უერთდება მოტივს უდაბნოსი, სადაც პირველ ტერცეტში განთავსებული იყო უზარმაზარი სფინქსები და მათი „უსასრულო სიზმარი“, un rêve sans fin.

„სახლი“, maison(3), სადაც იმყოფებიან კატები პირველ კატრენში, ქრება პირველ ტერცეტში, რომელშიც დახატულია უდაბურებისა და მარტოობის საუფლო – ჭემმარიტად უკულმა შეტრიალებული სახლი, სადაც ბინადრობენ კატები – სფინქსები. თავის მხრივ, ეს „არასახლი“ ადგილს უთმობს კატების კოსმიურ სიმრავლეს (ისინი, სონეტის ყველა დანარჩენი პერსონაჟის მსგავსად, ინტერპრეტირებულია, როგორც pluralia tantum). ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადაიქცევა არასახლის სახლად, რადგან მათი თვალების გუგებში დაინახავთ უდაბნოს ქვიშასაც და ვარსკვლავთა შუქსაც.

სონეტის ბოლო სტრიქონები უბრუნდება სწავლულებისა და მიჯნურების თემას, რომლითაც იწყება სონეტი; სწავლულებსა და მიჯნურებს თითქოს აერთიანებენ „მძლავრი და ალერსიანი კატები“, Les chats puissants et doux. როგორც ჩანს, მეორე ტერცეტის პირველი სტრიქონი უპასუხებს მეორე კატრენის პირველ სტრიქონში დასმულ კითხვაზე. ვინაიდან კატები „ავხორცობის მეგობარნი“ არიან, Amis... de la volupté (5), „მათი ნაყოფიერი წიაღები სავსეა“, Leurs reins féconds sont pleins (12). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ საუბარია რეპროდუქციული უნარის შესახებ, მაგრამ ბოდლერის სონეტის სხვაგვარ ინტერპრეტაციებიცაა შესაძლებელი. რა იგულისხმება აქ – კატების წიაღთა ძალა თუ ელექტრული ნაპერწკლები ცხოველთა ბეწვში? ნებისმიერ შემთხვევაში, მათ მიეწერება მაგიური ძალა. ვინაიდან მეორე კატრენის დასაწყისში განთავსებულია ორი შეთანხმებული განსაზღვრებითი დამატება: Amis de la science et de la volupté (5), ამდენად, ყველაფერი, რაც ნათქვამია ბოლო ტერცეტში, მიემართება არა მარტო „ვნებიან მიჯნურებს“, amoureux fervents (1), არამედ – მკაცრ სწავლულებსაც, savants austères(1).

ბოლო ტერცეტში გართმულია სუფიქსები, რათა ხაზი გაესვას მჭიდრო სემანტიკურ კავშირს კატების-სფინქსების „ნაპერწკლებს“, étinCELLES (12), „ნაწილაკებს“, parCELLES (13) და „თვალის გუგებს“, pruNELLES (14) შორის, ისევე, როგორც ჯადოსნურ MagIQUES (12) ნაპერწკლებსა და „იდუმალ“, MystIQUES, თვალის გუგებს შორის, რომლებიც შინაგან შუქს ასხივებენ და ფარულ საზრისებს ამჩნევენ.

თითქოს იმისთვის, რომ საგანგებოდ გაესვას ხაზი მორფემათა ეკვივალენტურობას, სონეტის ეს უკანასკნელი რითმა ერთადერთია, სადაც არ

გვხვდება საყრდენი თანხმობანი. სამაგიეროდ, ორივე ზედსართავი შეკავშირებულია საწყისი /m/-ს ალიტერაციით. ამ ორმაგი განათების სხივები ფანტავს „წყვდიადის შიშს“, l'horreur des ténèbres. ფონიკურ დონეზე უკანასკნელი სტროფის ნაზალური ვოკალიზმი ხაზს უსვამს შუქის თემას, იმის წყალობით, რომ აქ ჭარბობს მკაფიოტემბრიანი ფონემები (7 პალატალური 6 ველარულის საპირისპიროდ); წინამორბედ სტროფებში კი შეიმჩნეოდა ველარულების აშკარა რაოდენობრივი სიჭარბე (16 პალატალური და 0 ველარული პირველ კატრენში, 1 პალატალური და 1 ველარული მეორეში, 10 პალატალური და 5 ველარული პირველ ტერცეტში).

სონეტის ბოლოს გვხვდება მრავალი სინეკდოქე, როდესაც ცხოველებს ენაცვლება მათი სხეულის ნაწილები და, იმავდროულად, მთელი სამყარო ენაცვლება ცხოველებს, რომლებიც მარტოდენ ამ სამყაროს ნაწილებს წარმოადგენს. შედეგად, ყველა პოეტური ხატი, თითქოს საგანგებოდ, ბუნდოვანდება. განსაზღვრული არტიკლი ადგილს უთმობს განუსაზღვრელს, ხოლო ზმნური მეტაფორა – *Étoient vaguement* (14) – შესანიშნავად ასახავს მთელი ეპილოგის პოეტიკას. განსაცვიფრებელია შესაბამისობანი ტერცეტებსა და კატრენებს შორის (ჰორიზონტალური პარალელიზმი). პირველი კატრენის ვიწრო სივრცობრივ [maison (3)] და დროით [mûre saison(2)] საზღვრებს უპირისპირდება ყოველგვარი საზღვრების გაფართოება ან განადგურება [fond des solitudes (10), rêve sans fin (11)] პირველ ტერცეტში, ხოლო მეორე ტერცეტში კატების მიერ გამოსხივებული შუქი იმარჯვებს „წყვდიადის შიშზე“, l'horreur des ténèbres, რომლის მოხსენიებამ მეორე კატრენში ლამის იყო, გამოწვია მცდარი დასკვნების გამოტანა კატების შესახებ.

ახლა გავაერთიანოთ ჩვენი ანალიზის ცალკეული ნაწილები და ვცადოთ იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება მისი განსხვავებული დონეების ურთიერთგადაკვეთა, ურთიერთშეკვეთა და კომბინირება, რაც სონეტს დასრულებული ობიექტის ხასიათს ანიჭებს.

უპირველეს ყოვლისა – საკითხი ტექსტის დანაწევრების შესახებ. ტექსტი შეიძლება სხვადასხვანაირად დავანაწევროთ და ამგვარი დანაწევრება სავსებით მკაფიოა როგორც გრამატიკული თვალსაზრისით, ისე – მის ცალკეულ ნაწილების სემანტიკური კავშირების თვალსაზრისით.

როგორც ვნახეთ დანაწევრების პირველი ხერხი მდგომარეობს სამი ნაწილის გამოყოფაში, რომელთაგან თითოეული მთავრდება წერტილით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გამოვყავით თითოეული კატრენი და ორი ტერცეტი ერთად. პირველ კატრენში ობიექტური და სტატიკური სურათის სახით აღწერილია ფაქტობრივი (ან ასეთად ნავარაუდევი) ვითარება, მეორე კატრენში კატებს მიეწერება ერეზოსის ძალების გამოყენების ზრახვები, ხოლო

ერებოსის ძალებს – კატების გამოყენების ზრახვები, რომლებსაც კატები უგულვებელყოფენ. ამ ორივე ნაწილში კატები ერთგვარად შორიდან, დისტანციურადაა ასახული; პირველ ნაწილში ისინი პასიურ მდგომარეობაში იმყოფებიან (რაც განსაკუთრებით სჩვევიათ მიჯნურებსა და სწავლულებს), ხოლო მეორეში – აქტიურში, რაც ერებოსის მიერ აღიქმება. მესამე ნაწილში ეს წინააღმდეგობა დაძლეულია – კატებს მიეწერება პასიურობა, რომელსაც ისინი აქტიურად აღიქვამენ; გარდა ამისა, ისინი აქ ასახულია არა გარედან, არამედ თითქოს შიგნიდან.

დანაწევრების მეორე ხერხის წყალობით შესაძლებელი ხდება ორივე ტერცეტის ერთობლიობის შეჯერება ორივე კატრენის ერთობლიობასთან და, ამავ დროს, პირველ ტერცეტთან პირველი კატრენის და მეორე ტერცეტთან მეორე კატრენის მჭიდრო კავშირის გამოვლენა. მართლაც:

1. ორივე კატრენი უპირისპირდება ტერცეტთა ერთობლიობას იმ გაგებით, რომ ტერცეტებში ნადგურდება დამკვირვებლის (მიჯნურების, სწავლულების, ერებოსის ძალების) თვალსაზრისი; გარდა ამისა, აქ კატები არ იმყოფებიან რაიმენაირ სივრცობრივ ან დროით საზღვრებში.

2. ამასთან, ეს სივრცობრივ-დროითი საზღვრები არსებობდა პირველ კატრენში (*maison. saison*); ხოლო პირველი ტერცეტი მათ ანადგურებს (*au fond des solitudes, rêve sans fin*).

3. მეორე კატრენში კატები უკავშირდება წყვილიად, რომელიც მათ გარს ახვევია, მეორე ტერცეტში კი – შუქს, რომელსაც ისინი თვითონ ასხივებენ (ნაპერწყლები, ვარსკვლავები).

ბოლოს, დანაწევრების მესამე ხერხი ავსებს წინამორბედ ხერხს და სტროფებს იმგვარად აჯგუფებს, რომ ისინი ხიაზმს წარმოქმნიან; ხიაზმი წარმოიქმნება, ერთი მხრივ, პირველი კატრენით და ბოლო ტერცეტით, მეორე მხრივ კი – შიდა სტროფებით, მეორე კატრენითა და პირველი ტერცეტით. პირველ ჯგუფში სიტყვა „კატები“ წარმოადგენს დამატებას, ორ დანარჩენ სტროფში კი ის იმთავითვე გვევლნება ქვემდებარის როლში.

ფორმალური დანაწევრების ამ თავისებურებებს სემანტიკური საფუძველი აქვს. პირველ კატრენში ამოსავალი წერტილია ერთსა და იმავე სახლში კატების მეზობლობა სწავლულებთან ან მიჯნურებთან. ამ მეზობლობიდან გამომდინარეობს ორმაგი მსგავსება (*comme eux, comme eux*). ბოლო ტერცეტში მომიჯნავეობის მიმართება ასევე გადაიზრდება მსგავსების მიმართებაში; მაგრამ თუკი პირველ კატრენში მეტონიმიური მიმართება სახლში მცხოვრებ კატებსა და ადამიანებს შორის ხელს უწყობს მეტაფორული მიმართების წარმოქმნას მათ შორის, ბოლო კატრენში ამგვარივე გადასვლა ხორციელდება უკვე თვით კატების „შიგნით“: მომიჯნავეობის მიმართება აქ უფრო სინე-

დოქეს პროდუქტია, ვიდრე – მეტონიმიისა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. კატების სხეულის ნაწილთა მოხსენიება (reins, prunelles) გვამზადებს კატის ასტრალური, კოსმიური ხატის წარმოქმნისთვის, რასაც შეესაბამება გადასვლა სიზუსტიდან ბუნდოვანებისკენ (également, vaguement). რაც შეეხება ორი შიდა სტროფის მსგავსებას, ის ემყარება ეკვივალენტურობის მიმართებას. ამ ეკვივალენტურობიდან ერთ-ერთი უგულბელყოფილია მეორე კატრენში (კატები და coursiers funèbres), მეორე კი შემოაქვს პირველ ტერცეტს (კატები და სფინქსები). პირველ შემთხვევაში ეს იწვევს მომიჯნავეობის უგულბელყოფას (კატებსა და ერებოსს შორის), მეორეში კი – იმას, რომ კატები განთავსდებიან „მარტობათა სიღრმეში“, au fond de solitudes. ამგვარად, ამკარაა, რომ გარე სტროფებისგან განსხვავებით, შიდა სტროფებში გადასვლა ხორციელდება ეკვივალენტურობის მიმართებიდან, რომელიც მსგავსების გამძაფრებული ფორმაა (და, მაშასადამე, მეტაფორული საზრისი აქვს), მომიჯნავეობის (მეტონიმიური) მიმართებებზე, რომლებიც შეიძლება პოზიტიური ან ნეგატიური იყოს.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით სონეტს, როგორც ეკვივალენტურობათა სისტემას, რომლებიც თითქოს ერთმანეთშია ჩასმული და ერთობლივად ჩაკეტილ სისტემას წარმოქმნის. ახლა უნდა განვიხილოთ უკანასკნელი ასპექტი. ის ლექსს წარმოგვიდგენს ღია სისტემად, რომელიც დინამიურად ვითარდება დასაწყისიდან დასასრულამდე.

გავიხსენოთ, რომ წინამდებარე სტატიის დასაწყისში ხაზგასმით აღვნიშნეთ შესაძლებლობა იმისა, რომ სონეტი შეიძლება დანაწევრდეს დისტიქით გამიჯნულ ორ სექსტინად. ამ დისტიქის სტრუქტურა ძალზე მკვეთრად განსხვავდება სონეტის დანარჩენი ნაწილების სტრუქტურისგან.

ლექსის დანაწევრების შესაძლო ხერხების ჩამოთვლისას დროებით თავი შევიკავეთ ამ საკითხის განხილვისგან, რადგან, ვფიქრობთ, სხვებისგან განსხვავებით, სწორედ ამგვარი დანაწევრება მიუთითებს რეალურის პლანიდან (პირველი სექსტინა) სიურრეალურის პლანისკენ გადასვლის შესახებ. ეს გადასვლა ხორციელდება შუალედური დისტიქის მეშვეობით, რომელსაც მოკლე ხნით გადაჰყავს მკითხველი (უამრავი სემანტიკური და ფორმალური საშუალებების წყალობით) ორმაგად ირეალურ სამყაროში, რადგან პირველ სექსტინას მასში შეაქვს გარეგნული აღწერის ელემენტი და, ამავე დროს, ის წინასწარ განჭვრეტს მეორე სექსტინის მითოლოგიურ ჟღერადობას.

1-6	7-8	9-14
გარე	შიდა	
ემპირიული	მითოლოგიური	
რეალური	ირეალური	სიურრეალური

კილოსა და თემის მკვეთრი შეცვლის ხარჯზე სონეტში გადასვლა ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც გვაგონებს მოდულაციის როლს მუსიკალურ ნაწარმოებში.

ამ მოდულაციის მიზანი ისაა, რომ გადაწყდეს სონეტში იმთავითვე არსებული (იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად) წინააღმდეგობა მეტაფორულსა და მეტონიმიურ ტენდენციებს შორის. მეორე სექსტინაში წარმოდგენილი გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ წინააღმდეგობა გადაიტანება თვით მეტონიმის სიღრმეში, თუმცა ის მაინც გამოიხატება მეტაფორული საშუალებებით.

პირველ ტერცეტში კატები, რომლებიც თავდაპირველად სახლში იმყოფებიან, თითქოს გამოსხლტებიან ამ სახლიდან და იწყებენ ზრდას სივრცესა და დროში – უკიდვანო უდაბნოებსა და უსასრულო სიზმარში. აქ მოძრაობა მიმართულია შიგნიდან გარეთ, სახლში ყოფნის მოყვარული კატებიდან – განთავისუფლებული კატებისკენ. მეორე ტერცეტში საზღვრების განადგურება ხდება თითქოს თვით კატების შიგნით, რომლებსაც კოსმიური ზომებისთვის მიუღწევიათ: მართლაც მათი სხეულის ზოგიერთი ნაწილი (წიაღები და თვალის გუგები) მოიცავს უდაბნოთა ქვიშას და ციურ ვარსკვლავებს. ორივე შემთხვევაში გარდასახვა ხორციელდება მეტაფორული საშუალებებით. მაგრამ ეს ორი გარდასახვა ტოლფასი არაა: პირველი მათგანი უკავშირდება მოჩვენებითობას (*prennent ... les... attitudes... qui semblent s'endormir*) და ძილს (*en songeant... dans un rêve*), მაშინ, როდესაც მეორე მათგანს ტენდენცია მართლაც ბოლომდე მიჰყავს თავისი მტკიცებითი ხასიათის წყალობით (*sont pleins... Étoilés*). პირველ შემთხვევაში კატები დასაძინებლად თვალს ხუჭავენ, მეორე შემთხვევაში მათ თვალები გახელილი აქვთ.

მაგრამ მეტაფორათა სიჭარბეს მეორე სექსტინაში მხოლოდ სამყაროს დონეზე გადააქვს ოპოზიცია, რომელიც იმპლიციტურად იქნა ჩამოყალიბებული უკვე სონეტის პირველ სტრიქონში. „მიჯნურები“ და „სწავლულები“ შესაბამისად აერთიანებენ თავიანთ გარშემო იმ ელემენტებს, რომლებიც ურთიერთს უახლოვდება ან სცილდება: მიჯნური მამაკაცი დაკავშირებულია

ქალთან, ისევე, როგორც სწავლული – სამყაროსთან; ესაა კავშირის ორი ტიპი; პირველი მათგანის საფუძველია სიახლოვე, მეორესი – დაშორებულობა.<sup>1</sup>

ასეთივე მიმართება შეინიშნება საბოლოო გარდასახვებშიც: კატების გაზრდა დროსა და სივრცეში; დროისა და სივრცის შეკუმშვა და დაყვანა კატების ზომებამდე. მაგრამ აქაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი ტერცეტის სიმეტრია სრული არაა – ბოლო ტერცეტში თავმოყრილია სონეტის ყველა ოპოზიცია: ნაყოფიერი წიაღები მეტყველებს მიჯნურთა ავხორცობის შესახებ, ხოლო თვალების გუგები-სწავლულთა შესახებ, რომელნიც მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევიან; სიტყვა ჯადოსნური გვახსენებს მიჯნურთა ვნებიანობის შესახებ, ხოლო სიტყვა იდუმალი – სწავლულთა საქმიანობის ჭკრეტიობას.

ბოლოს – ორი შენიშვნა: ის ფაქტი, რომ სონეტის ყველა გრამატიკული ქვემდებარე (გარდა საკუთარი სახელისა L' Érebe ) მრავლობით რიცხვშია და ყველა ქალური რითმაც წარმოქმნილია მრავლობითი რიცხვის სახელებით (მათ შორის, არსებითი სახელი solitudes), მნიშვნელოვანწილად განმარტავს ბოდლერის „ბრბოების“ („Foules“) რამდენიმე პასაჟი: „ბრბო, მარტოობა: ესაა ტოლი და ურთიერთშენაცვლებადი ტერმინები აქტიური და ნაყოფიერი პოეტისთვის... პოეტი სარგებლობს იმ იშვიათი პრივილეგიით, რომ მას შეუძლია, თავისი სურვილისდა მიხედვით, სხვადყოფნასთან ერთად, შეინარჩუნოს თვითებაც... ის, რასაც ადამიანების სიყვარულს უწოდებენ, იმდენად კნინია, იმდენად ვიწროა და სუსტი წარმოუდგენელ ორგაისტან, სულის წმინდათაწმინდა პროსტიტუციასთან შედარებით, რომელიც მთელი თავისი პოეზიითა და სიქველით მთლიანად ეძლევა ნებისმიერ მოულოდნელ, ნებისმიერ უცნობ მოვლენას“.

---

<sup>1</sup> ბ-ნმა ე. ბენვენისტმა, რომელიც თავაზიანად დაგვთანხმდა, წაკითხა წინამდებარე სტატიის ხელნაწერი, შენიშნა, რომ „ვნებიან მიჯნურებსა“ და „მკაცრ სწავლულებს“ შორის კავშირი მოიცავს, ასევე, მედიაციურ ელემენტს „სიმწიფის ასაკი“ (mûre saison): მართლაც, მხოლოდ სიმწიფის ასაკში ხდება მათი ურთიერთმიმსგავსება და, ასევე, გაიგივება კატებთან. რადგანაც – განაგრძობს ე. ბენვენისტი – „ვნებიან მიჯნურად“ დარჩენა „სიმწიფის ასაკამდე“ უკვე ნიშნავს ჩვეული ნორმების ჩარჩოების გადალახვას, ისე, როგორც ეს ხდება „მკაცრი სწავლულების“ შემთხვევაში: სონეტის საწყისი კატრენი აღწერს სამყაროსგან განკერძოებულობას (თუმცა უგულუბელყოფილია, ასევე, ცხოვრება მიწისქვეშა სფეროებშიც). და ეს სიტუაცია, რომელშიც განთავსებული არიან კატები, ვითარდება მცივანობიდან და შინ ყოფნიდან უდიდეს მარტოობამდე ვარსკვლავთა შუქზე, როდესაც მეცნიერება და ვნებები უსასრულო სიზმრად იქცევა.

ამ შენიშვნათა (რომელთა გამოც მადლობას ვუხდით მათ ავტორს) დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ციტატა „ბოროტების ყვავილების“ სხვა ლექსიდან „Le savant amour... fruit d'automne aux saveurs souveraines“ („L' Amour du mensonge“). – ავტორთა შენიშვნა.

ბოდლერის სონეტის დასაწყისში კატები დახასიათებულია, როგორც „მძლავრი და ალერსიანი“, puissants et doux, არსებები, ხოლო ბოლო სტრიქონში მათი თვალების გუგები ვარსკვლავებთანაა შედარებული. კრეპე და ბლენი ამასთან დაკავშირებით იხსენებენ სინტ-ბევის სტრიქონს: „...l'astre puissant et doux“ (1829) და ამავე ეპითეტებს პოულობენ ბრიზეს ერთ-ერთ ლექსში (1832), სადაც გვხვდება ამგვარი მიმართვა ქალებისადმი: „Êtres deux fois doues! Êtres puissants et doux!“

თუკი წარმოიშობა ამის საჭიროება, შეიძლება დავადასტუროთ, რომ ბოდლერისთვის კატის ხატი მჭიდროდ უკავშირდება ქალს ხატს, რაზეც აშკარად მიუთითებს ამავე კრებულში განთავსებული ორი ლექსი, სათაურით „კატა“, კერძოდ კი, სონეტი „Viens, mon beau chat, sur moi Coeur amoureux“, რომელიც შეიცავს მრავლისმეტყველ სტრიქონს: „Je vois ma femme en esprit...“ და, ასევე, ლექსს: „ Dans ma cervelle se promène... un beau chat, fort, doux“, სადაც პირდაპირ ისმის კითხვა: „est-il féé, est-il dieu?“ ეს მოტივი მერყეობისა ქალურსა და მამაკაცურ საწყისებს შორის იმპლიციტურად გვხვდება „კატებშიც“, სადაც ის გამოსჭვივის საგანგებოდ გაბუნდოვანებულ ტექსტში: („Les amoureux... Aiment... Les chats puissants et doux...“; „Leurs reins féconds ...“). მიშელ ბიუტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბოდლერთან ეს ორი ასპექტი – ქალურობა და ჭარბი მამაკაცურობა – სულაც არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ, პირიქით, ერთიანდება<sup>1</sup>. სონეტის ყველა პერსონაჟი მამრობითი სქესისაა, მაგრამ კატებსა და მათ alter ego-ს – უზარმაზარ სფინქსებს – ორსქესიანი ბუნება აქვთ. ასეთივე გაორებულიობა ხაზგასმულია მთელ სონეტში იმის წყალობით, რომ ვაჟური რითმების წარმოსაქმნელად პარადოქსულად შერჩეულია მდებრობითი სქესის არსებითი სახელები. თავიანთი შუალედური მდგომარეობის გამო კატები საშუალებას იძლევიან, გამოირიცხოს ქალები იმ თავდაპირველი ერთობლიობიდან, რომელიც მიჯნურებისა და სწავლულებისგან შედგება. „კატების პოეტი“ თავს აღწევს „ვიწრო“ სიყვარულს და პირისპირ წარუდგება (შესაძლებელია, ერწყმის კიდევ) სწავლულთა სიმკაცრისგან განთავისუფლებულ სამყაროს.

1962

თარგმნა თამარ ლომიძემ

რომან იაკობსონი. კლოდ-ლევე-სტროსი.

Roman Jakobson, Claude Lévi-Strauss. Baudelaire's „Les Chats“.

Roman Jakobson, Language in Literature,  
The Belknap Press of Harvard University, Cambridge,  
Massachusetts, London, England, 1987, pp.181-197.

---

<sup>1</sup> M. Butor, Histoire extraordinaire, essai sur un rêve de Baudelaire, Paris, 1961, p. 85.